ხელშეკრულება №36
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 24 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მერი ბერიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სმაილი" მისი წარმომადგენელი დირექტორის გიორგი ქებაძის სახით (ს/კ 417875758) (შემდგომში – მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით: 1. ტელევიზორის (CPV 32324000); 2. მაცივარის (CPV 39711130); 3. ელექტრო ჩაიდანის (CPV 39715100) შესყიდვა;

1.2.შესყიდვის ობიექტია: შესყიდვის ობიექტია ტელევიზორი 1 (ერთი) ცალი 499 (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი (CPV 32324000); 2. მაცივარი 1 (ერთი) ცალი 379 (სამასსამოცდაცხრამეტი)ლარი(CPV 39711130); 3. ელექტრო ჩაიდანი 1(ერთი)ცალი 59 (ორმოცდაცხრამეტი)ლარი (CPV 39715100). სულ ჯამში 937 (ცხრაასოცდაჩვიდმეტი) ლარი.

2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3 შესყიდვის ობიოექტის ღირებულება შეადგენს 937(ცხრაასოცდაჩვიდმეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს მომსახურეობის ხარისხიანი მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2016 წლის 30 დეკემბერის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მომსახურების ადგილია:ქ. გორი,ცხინვალის გზატ. 10ა

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

8.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

8.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

121.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან. მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი.

13.2.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდი
მისამართი: ქ. გორი,სამეფოს ქ№17
ს/კ 218062646
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

სამხატვრო ხელმძღვანელის მ/შ

მ.ბერიკაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „სმაილი“
მისამართი: გორი, ცხინვალის გზატ. 10ა
საბანკო რეკვიზიტები:სს“საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. GE54BG0000000346556200
ს/კ 417875758
დირექტორი

გ.ქებაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 24 დეკემბერი 2016 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ გორის ქალთა კამერული გუნდის მიერ 2016 წლის 24დეკემბერს დადებული N36 ხელშეკრულება შ.პ.ს. „სმაილი" დირექტორი გიორგი ქებაძესთან გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სამხატვრო ხელმძღვანელის მერი ბერიკაშვილი

მოვალეობის შემსრულებელი

ბუღალტერი თამარ კოდალაძე